სახალხო გაზეთი

№ 562 შაბათი, 31 მარტი, 1912 წ. № 562

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

დედა კნეინა მარიამ სვიმონის ასული ფალავანდიშვილისა, დები—ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელი და კნ. თამარა გიორგის ასული ჯავახიშვილისა, ძმები — თ-დნი ივანე, დიმიტრი, ზაქარია ფალავანდიშვილები და სიძე—თ-დი ივანე დავითის ძე ჯავახიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 მარტს, საღამოს, გარდაიცვალა

კნეინა ანნა გიორგის ასული ამილახვრისა.

პანაშვიდები ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე. სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 3. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2.1182.1)

---

30 მარტს, ღამით, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი

კნეინა ანნა გიორგის ასული ამილახვარი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის და კნეინა სალომე გიორგის ასული და სიძე თ-დ როსებ ფადეოზის ძე ამირაჯიბი შვილებითურთ. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე (სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 3), დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2.332.1)

---

30 მარტს, ღამით, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი

კნეინა ანნა გიორგის ასული ამილახვარი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის და კნეინა დარია გიორგის ასული და თავ. ნიკოლოზ ვასილის ძე სუმბათაშვილი. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე (სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 3).

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2.332.1)

ეკატერინე პეტრეს ასული და ონისიმე ოტიას ძე ვარდოსანიძენი, ანნა, ლიუბოვ და მარიამ პეტრეს ასულნი სანაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა და უკანასკნელთა—ძვირფასი დედა, ხოლო მეორისა სიდედრი

მარიამ ივანეს ასული სანაძე

დაკრძალვა კვირას, 1 აპრილს, ხონში, ნაშუადღევის 3 საათზე. (1.1181.1)

---

30 მარტს, ღამით, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი

კნეინა ანნა გიორგის ასული ამილახვრისა.

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მაზლები გიორგი და კონსტანტინე ივანეს ძენი თავ. **ამილახვრები**, მულები **სალომე**, **ბარბარე**, და **მარიამ ივანეს ასულნი კნ. ამილახვრისანი** და **სემო ივანეს ასული ბუდულოვისა და მარიამ გაბრიელის ასული კნ. ამილახვრისა.** პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. ცხედრის გამოტანება კვირას, 1 აპრილს, დილის 10 საათზე სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 3 ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. (2—6—1)

გამოვიდა და იყიდება
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
სალიტერატურო კრებული
„გრდემლი"
ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.44)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული
კაფე-პარიზი
ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.
ღია იქნება ღამის 2 საათამდე
11—1 საათ. ◆ 1—5 ს. ◆ 5—2 ს.
საუზმე—30 კ. ◆ **სადილი.** ◆ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმლეები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—18)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
წამლობა ქლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—188)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი კბილისა ნინო რუხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**
ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი**, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსნიევის ქ., № 7). **ქუთაისში—ბ. ოცხელთან; სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან; სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის): Тифлисъ, Коргановская № 20, собств. д. Д-ру Мих. Гедевани. (3—1153—3)

— ახალი კლუბი —
შაბათს, 31 მარტს
სინემატოგრაფი
სიმფონიური ორკესტრი და **ლოტო**
დასაწყისი საღამოს 8½ ს.
სტუმრები იხდიან: კაცები 50 კ., ქალები 25 კ., სტუდ. 25 კ. (1.1149.1.)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 1 აპრილს 1912 წ. **გაბრიელ სუნდუკიანცის** ხსოვნის პატივსაცემლად ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება; **ვ. აბაშიძის, კ. ყიფიანის, კ. მესხის, დ. აწყურელის და ვ. გამყრელიძის** მონაწილეობით ცნობილი პიესა

1 **პეპო** კომედია 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.
2 **კიდევ ერთი მსხვერპლი** მესამე მოქმედება გ. სუნდუკიანცის დრამიდან.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. **დასაწყისი საღ. 8½ ს.** ადგ. ფასი ჩვეულებრივია
რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** (2—1146—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.
კვირას, 1 აპრილს მ. ჯანაშვილი წაიკითხავს ქართულ ენაზე მეოთხე ლექციას:
ქართველთა რწმენანი
ლექცია დაიწყება დილის 10½ საათზე. ბილეთები 5 კ. 10 კაპ. (1.133.1)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის
საზოგადოება
აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის" მეორე წიგნისთვის,
მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.
[illegible]
მისამართი: ოლღის ქუჩის შესახვ. № 5 გ. რცხილაძეს. (10.1124.11)

ყურადღება!
თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,
ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს
„ირის",
25 ცალი 15 კ. და 10 ცალი—6 კ.
საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.
ყველგან იყიდება.
თამბაქ. ქარხანა **„ძმანი სეილანოვები".**
ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.9)

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ. ავად.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. ვენერ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კათეტრიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—304)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. [illegible]ოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.80).

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 269)

გორში
იყიდება სახლი
რომელშიაც მოთავსებულია „მიროვოი სუდი" ცნობისთვის მიმართეთ: გორში, ნიკოლ კონსტ. ანდრონიკაშვილს—მე 2 უჩილიშჩაია, სახ. თვალთიძისა. (3—3191—1)

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (т. 1084.125)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. ზოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"

(წლ. 1090 239)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—20).

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვარინსკისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 133)

შპალიერი
ძმ. ტარნოპოლთა
ქარხნისა.
ტფილისის განყოფილება.
იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, საზ. არტისტ. სახ., ტელეფ. № 355. **საწყობში** უველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.5)

ექიმი კბილისა არჩილ (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.4)

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—129).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—59)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—67.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—4)

ექიმი ქ. ქუთაისი. **იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი**
ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო ,,ლონდონი''. (თ.—1129—28).

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ილიას თხზულებათა გამოცემის გამო.** როგორც ვწერდით, ილიას თხზულებათა გამომცემლის ბ-ნ მიხეილ გედევანიშვილის მიერ მიწვეულმა კომისიამ დაადგინა, გამოცემას დაურთოს მშვენიერი სურათები. პირველად ცოცხალ სურათებად იქმნება დადგმული ილიას ნაწერების შესანიშნავი ადგილები და მომენტები და შემდეგ ეს სურათები ფოტოგრაფიით იქნება გადაღებული. როგორც გავიგეთ, კომისიას განზრახვა აქვს, ცოცხალ სურათების დადგმაში მონაწილეობის მიღება სთხოვოს ამ ჟამად ტფილისში მყოფს, სამხატვრო თეატრის რეჟისორს, კ. ა. მარჯანიშვილს. ცოცხალ სურათების დადგმა განზრახულია 27 ოქტომბრისთვის, რომელ დღესაც გამართულ იქნება ილიას საღამო განსვენებულ პოეტისა და მოღვაწის დაბადებიდან 75 წლის შესრულების გამო.

✦ **რეფერატი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კლუბში ა. ბ. ევანგულოვი რეფერატს წაიკითხავს ექსკურსიების შესახებ. რეფერატს საუბარი და სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილება მოჰყვება.

✦ **ტფ. საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტმა** ტფ. გუბერნიის მომრიგებელ შუამავლებს საჩქაროდ მოსთხოვა დაწვრილებით ცნობები მებამბეობის შესახებ.

✦ **ქალაქის იურისკონსულტი მ. ნ. ათაბეგოვი,** როგორც ვწერდით, ქალაქის გამგეობის წევრად აირჩიეს. იურისკონსულტის თანამდებობა ამ რიგად თავისუფალია. ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, ამ ადგილზე იურისკონსულტის ორი თანაშემწე მოიწვიოს. კანდიდატებად ასახელებენ ნაფიც ვექილებს კ. ჯაფარიძესა და ვ. წოვიანოვსა.

✦ **ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა აგენტმა ბ. ს. ბაბოვმა** თანამდებობას თავი დაანება. ბ-ნი ბაბოვი ქალაქის სამსახურში 27 წელს იყო, ამიტომ სრულს პენსიას მიიღებს-წლიწადში 1,500 მანეთს.

✦ **შადინოვის თანხა.** ქალაქის გამგეობამ სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში შეიტანა ის 50,000 მან., რომელიც განსვენებულმა პ. ი. შადინოვმა კავკასიის უმაღლეს სასწავლებელს უანდერძა.

✦ **ტელეგრაფისა და ტელეფონის ახალი შენობა** თითქმის სულ მზად არის. ტელეგრაფი ახალ შენობაში (ვერაზე) მაისში გადავა, ხოლო ტელეფონი არა ადრე შემოდგომისა.

✦ ხმოსანმა მ. ზ. ქანანოვმა ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა, რომლითაც **კუკიაში მეორე სამშობიარო თავშესაფარის** დაარსებას აუცილებელ საჭიროებად სთვლის.

✦ ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, **აგურხანა** გახსნას. ამ საგნის თაობაზე მოხსენება უკვე შედგენილი აქვს და მოკლე ხანში განსახილველად ქალაქის საბჭოს წარუდგენს.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ევგ. გეგეჭკორი** ქუთაისიდან ტფილისს ჩამოვიდა, სადაც ლექციის წაკითხვას აპირობს შეკითხვების უფლების შესახებ.

✦ **ექსკურსია.** 29 მარტს ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის [illegible] კლასის მოსწავლენი, რიცხვით 25 კაცი, უფლისციხის დასათვალიერებლად იყვნენ. ექსკურსიას ხელმძღვანელობდნენ მასწავლებელნი ა. გ. სარაჯიშვილი და ბ. პ. კარლოვიჩი და მშობელთა წრის წევრნი ი. ა. მირაქოვი და ვლ. ბეს. ელიავა. ექსკურსია ტფილისიდან მატარებლით გაემართა, გორში გადმოხტა და ფეხით უფლის ციხეს გაემგზავრა, სადაც ყოველივე დაწვრილებით დაათვალიერა. მოსწავლენი აქედან ფეხითვე დაბრუნდნენ მეორე გზით და მოვიდნენ უფლის-ციხის „რაზიეზდ“-ში, საიდანაც მატარებლით საღამოს 9 საათზე ტფილისში დაბრუნდნენ.

✦ **ტრამვაი** 1 აპრილიდან ღამის 11½ საათამდე იმუშავებს.

✦ 28 მარტს რევოლვერით თავი მოიკლა ვიქტორ სტოიანოვმა, რომელიც მთვრალი იყო.

✦ 2[illegible] მარტს ტფილისში 61 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ უკვალოდ დაიკარგა ილია პავლეს ძე შარიოვი 16 წლისა.

სასწავლებლებში.

✦ **პროგიმნაზია ავლაბარში.** დღეისთვის ავლაბრის საზოგადო კლუბში დანიშნულია კლუბის წევრთა საერთო კრება, რომელიც მსჯელობას იქონიებს ავლაბარში დედათა პროგიმნაზიის დაარსების თაობაზე.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **მომხმარებელი საზოგადოება.** გუბერნატორმა ნება დართო, ავლაბარში მომხმარებელი საზოგადოება დაარსონ. ამხანაგობას ძირითადი თანხა ექნება 6000 მან. თითო პაი 10 მან. ეღირება.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგ კრებას, რომელიც 2 აპრილს მოხდება, 18 საქმე აქვს განსახილველი ამ ათში ოთხი ისეთი საქმეა, რომლის განსახილველად საჭიროა დასწრება არა ნაკლებ 40 ხმოსნისა.

სურამი

✦ **იშვიათი ხანგრძლივობა.** 28 მარტს სურამში გარდაიცვალა 105 წლის ქალი-მაგდან ლაცაბიძე.

წარსულ შემოდგომაზე სურამშივე გარდაიცვალა 108 წლის დედაბერი ანნა აბაზაძე.

გორი

✦ **მკვლელობა.** ზემო ხვედურეთის ეკლესიაში აღდგომა ღამეს ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა თავ. ნიკოლოზ ვარლამის-ძე ციციშვილი, 17 წლისა. მკვლელი მიიმალა.

ბათუმი

✦ **ქალ. ხუროთმოძღვარმა** წარუდგინა ქალაქის გამგეობას გეგმა ქალაქის მთავარ წყლის სადენის „მაგისტრალის“ გადმოტანის შესახებ. ბ-ნ ხუროთმოძღვრის გამოანგარიშებით „მაგისტრალის“ გადატანა სხვა ადგილას დაჯდება 28,216 მანეთი.

✦ 24 მარტს პეტერბურგიდან დაბრუნდა ქალაქის თავი **თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი** და შეუდგა თანამდებობის აღსრულებას. („ზ. გ.“)

დეპეშები

პეტერბურგი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მომავალ ივნისს პარიზში რუზველტის თავმჯდომარეობით გაიმართება კონფერენცია დაჩაგრულ ერებისა. ავსტრია საფრანგეთს ბრალსა სდებს, რომ ამ კონფერენციას საიდუმლოდ ხელს უწყობს, რადგანაც კონფერენცია სამთა კავშირის წინააღმდეგ იქნება მიმართულიო.

პეტერბურგი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

„ნოვოე ვრემია“-ს 29 მარტის ნომერში ზატერიანის წერილია მოთავსებული. იგი ეხება ქართველებს და ამბობს: ქართველები ფულის მოყვარე ხალხია, უმრავლესობა მათგანი ექსპროპიატორია და ექსპროპრიატორებსაც მასპინძლობას უწევენო. ქალებს ძალიან ასდევენ, ქალის გატაცება ხშირი მოვლენააო და დასძენს: ამიერ კავკასიაში საძაგლობაა გამეფებულიო.

ავსარქისოვის გატაცების საქმე

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, სოფ. სკრაში (გორის მაზრა) ამასწინად გაიტაცეს ავსარქისოვი. მეორე დღესვე, 18 მარტს, იგი გაუნთავისუფლებიათ მტაცებელთ, რადგანაც შეშინებიათ სასტიკად დაგვიწყებენ დევნასაო.

23 მარტამდე ამ ბრბოს უნაყოფოდ ეძებდა გორის მაზრის უფროსის მეთაურობით მთელი რაზმი ჩაფრებისა.

დიდხუთშაბათს, 22 მარტს ადგილობრივ ჩამოვიდა ტფილისის გუბერნატორი და მდევრად გორის გარნიზონიც გამოაყვანინა. მისის განკარგულებით ალყა შემოარტყეს სოფ. სკრას. სკრის სხვა მახლობელ სოფლებში და ტყეში ჩხრეკა იწყეს და მცირეოდენ საეჭვოდ მიჩნეულ პირთ აპატიმრებდნენ.

წითელ პარასკევს სოფ. სკრაში ცნობა მიიღეს, რომ ბრბოს მეთაური ხუციშვილი სოფ. ზედაქსოვერში მოჰკლესო, დანარჩენი ავაზაკნი შეიპყრესო.

მათ აღმოაჩნდათ ავსარქისოვის რევოლვერი და თოფი. ხუციშვილის გვამი სოფ. სკრაში ჩამოასვენეს და აჩვენეს ავსარქისოვსა და სოფლელებს შესამოწმებლად. მოკლული, მნახველთა ცნობით, ხუციშვილი ყოფილა.

ამგვარად გორის მაზრას მოაშორეს ერთი ავაზაკთა ბრბო რომელიც მთელ მაზრას შიშის ზარსა სცემდა. ამბობენ ამავე ბრბომ მოჰკლა განსვენებული პატრი დომინიკე, სამი გლეხი, მემამულე ერისთავი; იგივე ბრბო დასცემია სოფ. ხიდისთავში ძმათა მზარეულებს, ტერსტეფანოვსა და მრავალი სხვა ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა ჩაუდენია.

ჯაბა გურიელი

ჯაბა გურიელი არ იყო არც გამოჩენილი მწერალი, არც სახელმწიფო მოღვაწე, არც ორატორი.

მაგრამ მისი დიდებული და მშვენიერი სახე კაცს ხიბლავდა, მისი ტკბილი, ალერსიანი და სასიამოვნო ხმა გულს ათბობდა და იზიდავდა, მისი საამური მუსაიფი, მხატვრული, მშვენივრად დამასურათებელი, ნამდვილი ხელოვნური ნაწარმოები იყო.

ზოგიერთი კაცი ცუდად დაბერდება. ჯაბა გურიელზე ეს არ ითქმის. გაბრიელ ეპისკოპოზის სახესავით ჯაბას სახეც არაოდეს არ ამოიშლება იმის მეხსიერებიდან, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს. ჯაბას თავი—ზევსის სიდიადეს და აპოლონის სიმშვენიერეს წარმოადგენდა ერთად შეზავებულს. ჯაბას თავი—უკეთილშობილესი თავის ტიპი, იდეალი იყო. მისი სახის მწყობრი, ჰარმონიული სილამაზე გამოხატავდა ერთსა და იმავე დროს ძალას, დიდსულოვნებას, კეთილშობილებას, და ნიჭიერებას. დახვეული ხშირი თმა ლომის ფაფარივით ჰფარავდა და დიდებასა და შვენებას ჰმატებდა მის მშვენიერ თავს; აგრეთვე ხშირი ჭაღარა წვერულვაში ხელს უწყობდა სახის სიმშვიდეს, მიმზიდველობას.

ამიტომ, სადაც კი გამოჩნდებოდა, ჯაბას პირველ ადგილს უთმობდნენ მწერლებიც და დიდებულებიც.

ყველა გრძნობდა მისი სახის სისრულეს და ხასიათის სიდიადეს. ჯაბასთანა კაცები იშვიათად იბადებიან.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

ვასილ წერეთელი.

† თეოფილე ონისიმეს ძე გურგენიძე.

27 მარტს, მიაბარეს მიწას ახალგაზრდა 25—29 წლის თეოფილე ო. გურგენიძე. თეოფილე იყო ამაღლების საზოგადოებისა, ოზურგეთის მაზრისა, ღარიბ მღვდლის შვილი. სწავლა მიიღო ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ, მშობლების ხარჯით იქმნა მიღებული ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. მაგრამ არეულობის დროს, სხვათა შორის, ისიც დაითხოვეს მესამე კლასიდან. შემდეგ ახალგაზრდა ყმაწვილი მოძრაობის ხანამ გაიტაცა და ამ გზაზე სიარულმა ჰლექი არგუნა. მუდამ სხვებისათვის მზრუნველს და სამშობლოს ბედნიერების მოტრფიალეს, გურგენიძეს, არასოდეს არ ეცალა საკუთრად თავისთვის. სამშობლოსა და მოყვასისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით იყო გამსჭვალული მისი არსება. განსვენებული არც ერთ კულტურულ დაწესებულებას არ აკლებდა თავის ყურადღებას და შემწეობას.

შენი ხსოვნა მარადის დაუვიწყარია ჩვენთვის, პატიოსანო მუშაკო, თეოფილე! **ი. ზედობნელი.**

ჩაგრულთა მოსარჩლე

(ა. ჰერცენი)

ამჟამად რუსეთის განათლებული ნაწილი, მოწინავე საზოგადოება და ინტელიგენცია სახელგანთქმული რუსის მწერლის ალ. ივ. გერცენის მოგონებაშია. წელს სწორედ 100 წელიწადი შესრულებულობს მის დაბადების დროიდან და სწორედ ამ ასის წლის თავს დღესასწაულობს საუკეთესო ნაწილი რუსეთისა.

რუსის ლიტერატურას ბევრი ჰყავს მადლიანი კალმის პატრონი მწერალი. ამ მწერლებში ბევრია ისეთი, ვისი სულის კვეთების გაგება და მწერლის შეყვარება სხვა ერის შვილისათვისაც ადვილია.

ადამიანი ყოველთვის ერნაირ მდგომარეობაში არა ყოფილა. დროთა ვითარება ზოგჯერ კაცს დააძაბუნ-დაუძლურებს, სასოს წარუკვეთს ხოლმე, ამისთანა დროს ძვირფასია ადამიანი, გამამხნევებელი, გამღვიძებელი და იმედის აღმძვრელი. „ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგის ამბითაო“—უთქვამს ჩვენ სახელოვანს პოეტსა. ნამდვილია ეს თქმა. სწორედ ასეთი ადამიანი, ჭუჭყისა და „ჟანგის“ მომშორებელი გახლავთ რუსის მწერალი ა. ჰერცენი. რასაკვირველია, იგი ქართველი ხალხისათვის საინტერესოდ არ იქნებოდა, კეთილშობილ აზრით სავსე, თავისუფლებისა გლეხების ძლიერი ტრიბუნი და დამცველი რომ არ ყოფილიყო.

ზევით მოვიყვანეთ პოეტის ნათქვამი: „ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგის ამბითა“; ნუ გეგონებათ ჰერცენი სამხიარულო ამბავს მოგითხრობდეთ, ნუ იფიქრებთ, ჰერცენს სინამდვილე გაელამაზებინოს, კარგი აღენიშნოს და ცუდისათვის ხელი დაეფარებინოს. არა, იგი მოგვითხრობს მწარე ამბავს რუსეთის ბატონ-ყმობის დროისას, მოგვითხრობს და გვიჩვენებს დაჩაგრული რუსის ხალხის მწარე კვნესას. მისი ნაწერები ამ უკანასკნელ დრომდე აკრძალული იყო, მის ნაწერების წაკითხვისათვის ახალგაზრდობას სდევნიდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, საუკეთესო ნაწილი რუს-ს ახალგაზრდობისა დიდ პატივსა სცემდა თავისუფლებისათვის მებრძოლსა, გულზე ხატად დაესვენებინა და ლოცულობდა. მხოლოდ ამ ბოლო ხანში, 6—7 წლის წინად დაიწყეს ჰერცენის ნაწერების დაბეჭდვა, მაგრამ სრული თხზულების გამოცემა მაინც ვერ მოუხერხებიათ სასტიკის ცენზურის გამო: საუკეთესო ნაწილი ჰერცენის ნაწერებისა რუსეთში არ დაბეჭდილა, საზღვარ გარედ თუ იშოვება.

ალ. ჰერცენი უკანონო შვილი იყო რუსის მემამულის იაკოვლევისა. დედა მისი ლუიზა ჰააგი გერმანელის ქალი ყოფილა და იაკოვლევს შტუტჰარტიდან წამოუყვანია. იაკოვლევი რუსის აზნაური იყო, კარგსა და სახელგანთქმულ გვარეულობას ეკუთვნოდა და ამიტომ ლუიზა ჰააგის შერთვა ვერ გაუბედნია. იგი ჯვარდაუწერლად სცხოვრობდა თურმე. 1812 წლის 25 მარტს მათ დაჰბადებიათ შვილი, რომლისათვისაც თავის სიყვარულის ნიშნად ჰერცენი დაურქმევიათ (ჰერც-გერმანულად გულსა ჰნიშნავს). ახალგაზდა ჰერცენი მდიდარ მამის სახლში იზრდებოდა, მემამულეთა, მებატონეთა წრეში ტრიალებდა. რასაკვირველია ეს წრე კარგს ვერაფერს შესძენდა, ვინაიდან მაშინ ბატონ-ყმობა საშინლად გაძლიერებულიყო და რუსეთში გამეფებულიყო სასტიკი რეჟიმი ნიკოლოოზ პირველისა. თუმცა ჰერცენის მამა, შედარებით, ძლიერ სასტიკი არა ყოფილა, მაგრამ ბავშვი მაინც კარგად ჰგრძნობდა, თურმე, ხალხის კვნესასა; გარდა ბატონების წრისა, მეორე წრესაც გასცნობია—შინა-მოსამსახურეებსა და გლეხებსა. მგრძნობიარე ბავშვი თვალ-ყურს ადევნებდა მათ ცხოვრებას, ჰხედავდა დაჩაგვრასა, პიროვნების შელახვასა და კვნესავებასა. კარგად დაჰხსომებია ჰერცენს სხვა და სხვა ამბავი ბატონყმობის დროის რუსეთისა და შესანიშნავის ხელოვნებითა და გულწრფელობითაც აღწერა შემდეგ ძველი რუსეთი თავის „Былое и Думы“-ში. ღრმად ჩაბეჭდილა პატარა ჰერცენის გულში ერთი სურათი. სამოცი წლის მოხუცი, მთლად დაუძლურებული, დაჩანაკებული, ფეხქვეშ ჩაჰვარდნია ჰერცენის მამას, მხეცივითა ღრიალებს და ქვითინებს. იგი რაღაცას ეხვეწება ბატონსა, შენდობას თხოულობს—საწყალ მოხუცს გლეხებისაგან აღებული ფული შემოჰხარჯვია და ბატონი საშინლად უპირებს დასჯას: წვერი უნდა მოიპარსოო. მოხუცი ქვითინით ჰპირდება ბატონს, რაც გერგება, იმას 100 მანეთს დაუმატებ,

ჩვენი ბელეტრისტები.

მოთხრობები დუტუ მეგრელისა.

(გაგრძელება *)

ბ-ნმა დ. მეგრელმა ამ მოთხრობაში ძლიერად აღგვიწერა „მუნჯიაში“—ამ ბუნებისაგან დაჩაგრულ ადამიანის—ფსიხოლოგია. თუ ხსოვნა არ გვღალატობს, დ. მეგრელმა ჩვენს ლიტერატურაში პირველად მიაქცია ყურადღება ასეთს ნახევარ—ადამიანებს და სავსებით გაგვაცნო მათი მარტივი, მაგრამ თავისებური, ფსიხოლოგია.

აქვე ავტორი გვიხატავს ადამიანის გულ-გრილობას, შეუბრალებლობას და იწვევს ყველას სიბრალულით და სიყვარულით მოექცეს ბედისაგან დაჩაგრულს, ბუნებისაგან დასჯილს, თითქმის გაპირუტყვებულს ადამიანს.

ბატონის სახლში სცხოვრობდა მუნჯია. „სადაური ან ვისი შვილი იყო, კაცმა არ იცოდა. არც სახელი იცოდნენ მისი და არც გვარი. მხოლოდ ეს იცოდნენ, რომ მუნჯი იყო და ყველა „მუნჯიას“ ეძახოდა. ან კი ვისთვის რა საინტერესო იყო მისი ვინაობა? რამდენი ამისთანები სჭამდნენ მჭადს ბატონის სახლში, ყურადღებას ვინ მიაქცევდა? ცხოვრობდა საწყალი და არავის აწუხებდა. სამაგიეროდ ყველას, ვინც არ დაიზარებდა მახვილობის გამოჩენას, ყოველთვის შეეძლო მუნჯიას წვალება. ნამეტურ საშინლად აწვალებდნენ მუნჯიას ბატონისას მყოფი გოგოები და ბიჭები, თუმცა არც სხვები აძლევდნენ მოსვენებას უბედურს. მთელს ოჯახში მუნჯია უკანასკნელი იყო და პატარა ბალღსაც შეეძლო მისი წვალება. ჰხედავდა საბრალო მუნჯია, რომ იმისთვის პატრონი არ არის და ყველაფერს ითმენდა. აბა რა უნდა ექნა? გრძნობდა საბრალო არსება, რომ ყველანი უსამართლოდ ეპყრობიან, მაგრამ ვისთვის და რანაირად ეთქვა რამე? სამაგიეროდ, მუნჯიაც, თუ კი რომელისამე პატარა ბავშვს, რომელიც იმას გაახელებდა, მარტო ჩაიგდებდა ხელში, უსათუოდ ამოიყრიდა ჯავრს. მაგრამ ეს ჯავრის ამოყრა იაფად არ უჯდებოდა. ერთი რომ შემოეკრა ვისმესთვის, მაგიერად ათას იმდენს გადაახდევინებდნენ: მოიყრიდნენ თავს რაც ახლო-მახლო ბავშვები იქნებოდნენ და დაუშენდნენ საწყალს ჯოხებს და ქვებს. ხანდისხან ამგვარ ქვის სროლაში მოზრდილებიც კი გამოიმარჯვებდნენ... იყო საბრალო მუნჯი ამგვარად ყველასაგან მოძულებული და რასაკვირველია, თითონაც ყველა სძულდა. ამიტომაც საშინელი ავი გულისა შეიქნა: როდესაც სადმე იყო და იცოდნენ, საბრალოს ყოველთვის ეგონა მე დამცინიანო და არ იცოდა რა ექნა? უნდოდა რამე ნაირად ყველასთვის გადაეხადა სამაგიერო, მაგრამ კიდევ უფრო სკდებოდა გულზე, როცა დარწმუნდებოდა, რომ არაფერი არ შეუძლია. ხშირად ნახავდი მას მიმალულს სადმე კუთხეში ცხარე ცრემლით მტირალს. რაზედა სტიროდა? ყველაფერზე. ერთად ერთი წამალი იმისთვის ცრემლი იყო, ცრემლით უნდოდა მოენელებინა თავისი ნაღველი, ცრემლში უნდოდა გამოეხატა თავის გულის ვითარება, მაგრამ საბრალოს ალარცტირილს დააცლიდნენ ხოლმე: შემოესეოდნენ დიდი და პატარა, როცა იმის ტირილს გაიგონებდნენ, და შეიქნებოდა ერთი ხარხარი, თითქოს შაიმუნს ათამაშებენო. მაშინ უბედური მუნჯი ერთი გულის ამოკვნესით ამოიოხრებდა და მიაშტერებდა თავის ცრემლით სავსე თვალებს გარშემო მყოფთ, თითქოს ეუბნება: „რა გინდათ ჩემგან, რატომ არ დამაყენებთ? რას მერჩით, განა მეც თქვენისთანა არა ვარო?“, მაგრამ სად იყო კაცი, რომ ეს გაეგო“ (გვ. 12—13).

სწორედ რომ ცოცხალი აღწერაა! სურათიც ჩვენთვის, ვისაც სოფელში უცხოვრია, ნაცნობი და ათასჯერ ნანახია. მაგრამ ის, რაც ჩვენ ათასჯერ გვინახავს, რისთვისაც ყურადღება არ მიგვიქცევია და რასაც არ ჩავკვირვებივართ, ავტორმა გაადრამავა, სულიერ ტრაღედიად გადააქცია, სიბრალულის გრძნობით გაანათა და გააპატიოსნა. ავტორი აღვიძებს მკითხველის გულში სიყვარულს დაჩაგრულ და ბედისგან დასჯილ ადამიანისადმი და გვარწმუნებს, რომ ასეთი არსება უფრო ღირსია ჩვენის სიყვარულისა და სიბრალულისა.

ასეთი ჰუმანური, ქრისტიანული, გოგოლისებური მოტივი ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში არც ისე ხშირია. ეჭვს გარეშეა, რომ ავტორის შემოქმედებაზე უნდა ჰქონოდა გავლენა გოგოლის „შინელს“. გოგოლმა პირველად შეიტანა მკაფიოდ რუსულს ლიტერატურაში ასეთი ახალი მოტივი ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიბრალულისა და კაცმოყვარეობისა, ეს მოტივი შემდეგში სარჩულად დაედო მთელს ახალს რუსულს ლიტერატურას. საუკეთესო რუსის მწერლები პირდაპირ უცხადებენ, რომ ისინი ამ მხრივ მოწაფენი არიან გოგოლისა, დოსტოევსკი ამბობს: „Мы (რუსეთის ახალი მწერლები) всѣ вышли изъ подъ „Шинели“ Гоголя.“-ო

და თუ ეს ასე არის, გასაკვირველიც არ იქნება, რომ დ. მეგრელზედაც ჰქონოდა გავლენა გოგოლს და მის „შინელს“. „მუნჯიას“ ნაფიქრი მოთქმა: „რა გინდათ ჩემგან, რატომ არ მაყენებთ? რას მერჩით, განა მეც თქვენსთანა არა ვარო?“ თითქოს სიტყვა-სიტყვით მოგვაგონებს აკაკი აკაკიევიჩის ჩივილს: „Оставьте меня! зачѣмъ вы меня обижаете?.. Я братъ твой“.

სხვა მხრითაც არის საყურადღებო და საინტერესო ზემოდ ამოწერილი ადგილი მოთხრობისა. აქ ავტორი, როგორც ფსიხოლოგი, მარტივად, მაგრამ სამართლიანად, გვიხსნის იმ გაუგებარს მოვლენას: მართლა, რათ არიან საზოგადოდ მუნჯნი ავგულნი, შეუბრალებელნი, ნახევრად მხეცნი. ავტორის ახსნით, მუნჯნიც, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, გრძნობენ შებრალებას და შეცოდებას; მათაც შეუძლიათ ნამდვილი, უცვლელი, მტკიცე და გაუზომელი სიყვარული. და თუ ისინი ხშირად ავგულნი და შეუბრალებელნი არიან, ამაში თვით ჩვენი, მთელ და სრულ ადამიანთა, გულგრილობა და შეუბრალებლობაა უმთავრესი მიზეზი. ასეთი განმარტება მუნჯია ფსიხოლოგიისა, ჩვენის აზრით, სამართლიანია. აბა დაუკვირდით: რანაირად ღრმად უყვარს მუნჯს ეკა მხოლოდ იმისთვის, რომ ეკა მას იბრალებს, ზიზღით არ უყურებს, არ დასცინის და ადამიანად მიაჩნია! ეკა მუნჯისთვის ერთად ერთი სიცოცხლის წყაროა, მისი ცხოვრების გამშუქებელია. და აკი, როდესაც, მას დააშორეს ეს მაცოცხლებელი არსება, თავი შეაკლა წამრთმევს!

დ. მეგრელმა გამოხატა სრული ადამიანობა თითქმის პირუტყვად მიჩნეულ არსებაში და ზნეობრივად, სულიერად ბევრ ნორმალურ, მაგრამ გულცივ და შეუბრალებელ ადამიანებზე უფრო მაღლა დააყენა.

აი ამ ჩაგრულთა და უდანაშაულოთის მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობის, სიყვარულის, სიბრალულის და შეცოდების ქადაგებაშია უმთავრესი იდეიური მნიშვნელობა დ. მეგრელის „საბრალონი“-ს.

ამ მოთხრობაში მკითხველი ნაკლებად შეხვდება მხატვრულს აღწერას ჩვენი ხალხის შინაურ ყოფა-ცხოვრებისას, გარდა „ობირისა“, რომელიც თითქმის ფოტოგრაფიულად არის გადაღებული და ხილავი პოეტურის ძალით არ არის გაშუქებული. საზოგადოდ პოეტს აკლია ცოცხალი, [illegible] ეპიტეტები, შედარებები, ტროპები და ფიგურები.

უსიამოვნო შაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ისიც, რომ მთელს ძალას მოთხრობის გავლენისას კონტრასტებზე [illegible]: მწერალი სცდილობს გმირებისადმი სიბრალული ჩვენში გამოიწვიოს ანტიტეზებით. აი მაგალითი: ეკა, სანამ მას ივან ეტროვიჩი შეაცდენდა, ნამდვილი განხორციელებაა სილამაზისა და მშვენიერებისა. სამი წლის შემდეგ, როდესაც ის დაბრუნდა სოფელში პირველად, სულ სხვასა ვხედავთ. მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ავტორი: „ეს ეკა სრულიად არ ჰგავს იმ ეკას, რომელიც სამი წლის წინედ აქედგან წაიყვანა: მშვენიერის ახალგაზრდა ქალიშვილის მაგიერ ეხლა იყო რაღაც ლანდი, რომლის დანახვაც კაცს, ნამეტურ სოფლის კაცს, ზიზღს მოჰგვრიდა. წარმოიდგინეთ წვრილი, მაღალი, უშნო ჯოხი, რომელსაც ულაზათოდ აქვს შემოჰკონჭილი სხვა და სხვა ფერი სხვა და სხვა გვარი ფართლის აპრეხილ-დაპურჭკნილი კაბა, თითქოს საფრთხობელაზე ძველი ჰინჭები და ნაჭრები შემოუხვევიათო; ჯოხზე [illegible]კეთებული გამხდარი, უფერული [illegible]რის სახე; გრძელი, მაგრამ ულაზათო, კისერი“ (გვ. 36).

შვიდის წლის შემდეგ აი, ავტორის სიტყვით, რას წარმოადგენდა ოდესღაც მშვენიერი ეკა: „...იქ, სადაც საცოდავი მუნჯი იყო დასაფლავებული, ერთი, კაცის შემაძრწუნებელი, გლახა იწვა და ეძინა. თავით ედვა უბედურს ძველი ტომარა, რომელშიაც ძველი ჰინჭები და ნაჭრები უნდა ყოფილიყო. თუ არ ამ გლახის გრძელი, ბინძური თმა, ადამიანი ვერ მიხვდებოდა ვინ იყო, კაცი, თუ ქალი, რადგან ტანისამოსი სრულიად არ ეცვა. ამ საცოდავ გლახას ტანს ძლივს უფარავდა ძველი საძაგელი საცვლები და დახეული ფარაჯა, რომელშიაც გამოხვეული იყო და თავიც კი შიგ ჩაემალა. მხოლოდ ტიტველა ფეხები ღა უჩანდა უბედურს და ისინიც ისე იყო სისხლ-შემხმარნი, რომ გეგონებოდათ ძველი, დახეული წუღები აცვიაო. დიდხანს ედგა გლახას მონაზონი გაშტერებული და არ იცოდა, რა ექნა? ბოლოს გლახა გაინძრა და ცალი ხელი გამოჰყო. ამ ხელის დანახვამ სულ გადარია მონაზონი, რადგანაც ხელის მაგიერ რაღაც ერთი მეორეზე შეწყობილი ძვლები ნახა. აი კიდევ გაინძრა ის და ეხლა კი თავიც გამოუჩნდა. მაგრამ სადღა იყო თავი? თავის მაგიერ იყო მხოლოდ ორი თვალი, დაკრეჭილი კბილები და ნიკაპი. პირისა და ცხვირის მაგიერ-კი რაღაც უშველებელი ღრმო იყო, საიდანაც შესაზარი სუნი ამოსდიოდა“ (გვ. 39).

ცალ-ცალკე რომ ავიღოთ ამოწერილი სურათები და განვანთავისუფლოთ გადაჭარბებულად გასმულ ხაზებისაგან თავისთავად კარგს შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ როდესაც ავტორი ამ სურათებს ხმარობს, როგორც ერთგვარ მხატვრულ ფანდს წინდაწინ დასახულ ტენდენციის გამოსახატავად, მაშინ ეს სურათები, ერთად შეერთებული და შეხამებული, ძალას ჰკარგავს და არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს. ცხადია, რომ პოეტს არა აქვს დაცული მხატვრული ზომიერება, ის ძლიერ აჭარბებს და მით თითონვე ასუსტებს თავისი ნაწარმოების მხატვრობითი მნიშვნელობას.

ვიმეორებთ: მოთხრობა „საბრალონი“, როგორც მხატვრული ნაწარმოები, სუსტია; სჩანს, ავტორს წინასწარ დაუმზადებია იდეია და მერე მოუქებნია და შეუდგენია ფაბულა. ჭეშმარიტი ხელოვანი კი ასე როდი იქცევა: ის ფიქრობს სახეებით; არ ამტკიცებს რომელიმე აზრს,

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 56.

ოლონდ შემიბრალე, ნუ მაჰმევ მაგისთანა სირცხვილსაო. საკვირველი არ არის, თუ მას შემდეგ ჰერცენს ღარიბი და დაჩაგრული შეჰყვარებია, ხოლო შესძულებია მჩაგვრელები და ყოველგვარი მონობა. მაგრამ მისი აზროვნება პირველად ჩამოყალიბებულა დეკაბრისტების დასჯის შემდეგ. 1825 წლის 14 დეკემბერს რუსის მოწინავე ახალგაზდობამ აჯანყება მოახდინა. აჯანყების ბელადნი სულ დამსახურებულთა და განთქმულ გვარეულობისაგან იყვნენ გამოსულნი, შეადგენდნენ საუკეთესო ნაწილს თავად-აზნაურობისას. აჯანყებულებს ჰსურდათ რუსეთში რესპუბლიკის დამყარება, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. მთავრობამ მთლად გადააქოთა ყველაფერი, ბევრი დასაჯა, ციმბირის გზა აკვლევინა და გადაასახლა. გამოჩენილი დეკაბრისტი პესტელი რო დასაჯეს სიკვდილითა, მეორე დღეს სამადლობელი პარაკლისი იყო თურმე მოსკოვში, რასაც მეფე და მთავრობის წარმომადგენელნი დასწრებიან, „თოთხმეტი წლისა ვიყავი, ხალხში არც კი ვჩანდი, მაგრამ ამ პარაკლისზედვე, წმინდა ტრაპეზთან, რომელიც სისხლისათვის ლოცვით შეურაცხყვეს, აღთქმა და ფიცი დავდევი შეურისძიებისა.. ოც და ათ წელს შემდეგ იგივე დროშა მიჭირავს და არც არასოდეს მიღალატნიაო“ სწერდა ჰერცენი 1855 წელს „პოლიარნია ზვეზდაში (მოყვანილი აქვს პ. კოგანს).

ამავე ხანს ეკუთვნის პატარა ჰერცენისა და ამხანაგის ოგარევის ფიცის ამბავი, ვორობიოვის მთებზე (მოსკოვშია) მათ წრფელი აღთქმა დასდვეს და მთლად მოსკოვი მოწმედ ჩასწერეს: „თავი შევწიროთ ჩვენი მიზნისათვის ბრძოლასაო“. საზოგადოდ ჰერცენი ბავშვობისას ბევრს კითხულობდა და განსაკუთრებით შილერი, თავისუფლების აპოლოგეტი და ადამიანის ვექილი მოსწონდა, განსაკუთრებით მის კეთილშობილ გმირებს გაეტაცნა.

ცოტა რო წამოზრდილა ჰერცენი, მოსკოვის უნივერსიტეტში შესულა და შესასწავლად საფიზიკ-მათემატიკო ფაკულტეტი აურჩევია. თუმცა უნივერსიტეტები მაშინ მეცნიერების ტაძარი არ ყოფილა, მაგრამ მოსკოვის უნივერსიტეტში მაშინ რუსეთის ახალგაზდობის საუკეთესო ნაწილს მოეყარა თავი. შავ-ბნელი იყო ეს ხანა რუსეთის ისტორიაში. 1825 წლიდან, დეკემბრისტების დამარცხების შემდეგ, სასტიკი რეაქცია გამეფებულიყო, სასტიკი, სუსხიანი ნიავი ჰქროდა, „დაჰქროლა ქარმან სასტიკმან“. ყველაფერი მიწყნარებულიყო და შიშით სუნთქვას იკრავდა, გაქანებისა ეშინოდა. სდევნიდნენ საზოგადოებრიობისა და მისი ცხოვრების მკრთალ გამოხატულების ნიშან-წყალსა. დევნილი იყო ყოველგვარი ცხოველი აზრი, ყველაფერი, რასაც შეეძლო მიყუჩებული ცხოვრების სამარისებული სიჩუმე დაერღვია. იმდენად გასასტიკებულა ამ დროს ცენზურა, რომ კრილოვის არაკებსაც კი სდევნიდნენ. ერთი სიტყვით შეუძლებელი იყო ადამიანს ძალ-ღონე ფართოდ მოეხმარნა, პიროვნება განევითარებინა, ხალხს და ყველა ჩაგრულს მოჰხმარებოდა. ძლიერი ნიჭითა აქვს ჰერცენს ეს დუხჭირი ცხოვრება აღბეჭდილი „Былое и Думы“-ში; სასოწარკვეთილი ჰერცენი ერთგან ამბობს თანადროის ახალგაზრდობის ტანჯვის გამო: „ნეტა მიხვდებიან, ნეტა დააფასებენ შემდეგნი თაობანი ჩვენი არსებობის საშინელებასა და მთლად ტრაღიკულ მხარესა? ჩვენი ტანჯვა კი ნიადაგია, რაზედაც მათმა ბედნიერებამ უნდა აიხაროს! ნეტა გაიგებენ, მიხვდებიან, რისთვის ვყოფილვართ ზარმაცნი, რატომ ვერ მოგვიკიდნია დიდი საქმისათვის ხელი, ღვინოს ვეტანებით და სხვა? დაე ჩვენთა საფლავთ ქვებს დამწუხარებულნი და დაფიქრებულნი შემოაჩერდნენ: ღირსნი ვართ მათი გლოვისაო“.

მაგრამ ახალგაზრდობა მაინც ვერ შეჰრიგებოდა ბედსა, მაინც ვერ დაეყარა იარაღი. საზოგადოებაში, გარეგნად რომ შეგეხედნათ, ვერაფერს შეამჩნევდით, ყველგან სიწყნარე იყო, მო[illegible]ებას გაეშალა ფრთები. მაგრამ ამგვარი მდგომარეობის მიუხედავად, ოცდაათიანი და ორმოციანი წლები რუსის ინტელიგენციის საუკეთესო ხანად ჩაითვლება. გარეგანი სიწყნარე შინაგან მუშაობას ჰფარავდა. ახალგაზრდობას სხვა და სხვა წრეები ჰქონდა შედგენილი, საიდუმლო მუშაობა ეწეოდა. მაშინ გამოჩნდნენ საუკეთესო მწერალნი და მოაზრენი, გაჩნდა ჩამოყალიბდა ორი მიმართულება მოდასავლეთეებისა და სლავიანოფილებისა. ორთავე მიმართულებისთვის ცხოვრებას, რასაკვირველი, გასაქანი გზა არ მიეცა; ამ იდეათა განხორციელება ცხოვრებაში შეუძლებელი იყო და ფიქრად[illegible] არას მოსდიოდა. ახალგაზრდობას განსაკუთრებით განყენებული მსჯელობა ეინტერესებოდა. [illegible] განყენებულ მსჯელობით ძლიერ [illegible] ნი და ჰერცენი [illegible] მიიგონებდა ხოლმე ამ [illegible]ხსა. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ნაკლებ შეესაბამებოდა ახალგაზრდის იდეებსა, აზრი თავისას [illegible]ადიოდა, წინ მიისწრაფოდა, ბევრად გუსწრო ცხოვრებისათვის, სრულიად [illegible]რებოდა სინამდვილესა, მერე აღმოჩნდა დამღუპველი გავლენა მატერიისა და სულის დაშორებისა, გათიშვისა. მაგრამ თვით ჰერცენმა მშვენივრად დაახასიათა ეს დრო. იგი იყო „ხანა გარეგანი მონობისა და შინაგანად განთავისუფლებისაო“ სთქვა მან.

ეს დრო ძალიან მოგვაგონებს საქართველოს ახლანდელ მდგომარეობასა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება სწორედ იმ საფეხურზე დგას, რანაირზედაც ორმოციან წლებში რუსეთისა იდგა. საზოგადოდ რუსეთს დიდი მანძილით ჩამოვრჩენილვართ. ინტელიგენცია რუსისაზე ნაკლები არა გვყავს რიცხვით, პროპორციის მიხედვით, ქართველობას რუსის ხალხზე კულტურით მაღლა თუ არა, დაბლა ვერავინ დააყენებს, მაგრამ მაინც ტაატით, კუს ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. სიმართლისა არ უნდა შეგვეშინდეს, პირდაპირ სათქმელია: ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება თითქმის სამოცი წლით ჩამოჰრჩენია რუსეთისას და მხოლოდ ეხლა ლა ისახება ნათლად ჩვენი მიმართულებანი და საეროვნო მისწრაფებანი.

(დასასრული იქნება)

რაჭველი.

ჩინეთი

(შემდეგი *)

როგორც ჩვენში ხშირია ქალაქებში ეგრედ წოდებული „კლუბები“ ანუ საზოგადო საკრებულოები ჩინეთშიაც მრავლისაგან უმრავლესია ამ გვარი საკრებულო, რომლებსაც ისინი უწოდებენ **„პაგოდას“**. ამ შენობაში კვირაში სამჯერ დილაობით იმართება ბაზარი, შუადღისას იყრიან თავს თავიანთ საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ამავე შენობაში ჰმართავენ წარმოდგენებს. წარმოდგენები იმართება კვირაში რამდენჯერმე. წარმოდგენა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდის და ზოგჯერ კი გრძელდება მთელი სამი დღე.

ჩინელებს ძალიან უყვართ თეატრი და უყურებენ მას როგორც ცხოვრების სკოლას. მაყურებელი ჩინელები ძალიან თავისუფლად გრძნობენ თავს თეატრში. ზოგი მათგანი წამოწოლილა ლამპების წინ და არხეინად უყურებს წარმოდგენას. ზოგნი კი მიმსხდარან კედელთან და შეექცევიან ბრინჯის არაყს. ზოგნი წამოწოლილან და სწევენ ოპიუმს ([illegible]), მოქმედება სწარმოებს ამაღლებულ ადგილზე, რომელზედაც გამოდიან ავი ანუ ბიაროტი სულები და კეთილები, გმირები და ღმერთები, რომელთა შორის ხდება ფანტასტიური ბრძოლა. მსახიობებს აცვიათ ძვირფასი ტანისამოსი. ქალებს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიანთ: სასტიკად უკრძალავს კანონი. ქალების როლს ასრულებენ ახალგაზრდა ჩინელები „პაგოდაში“ თავსდებიან მგზავრები, ვისაც არა ჰსურთ, რომ იცხოვრონ სასტუმროში. პაგოდა შესდგება რამდენიმე სართულისაგან. წინა მხარე სართულისა მაღლა აშვერილია, იმიტომ რომ ჩინელების რწმენით სწორე საგანზე უფრო ადვილად მოთავსდებიან იგი სულები, ვიდრე აწეულზეო.

განათლება ჩინეთში უძველეს დროიდგან გავრცელებული. სახალხო სკოლები ევროპიელებზე ადრე მოაწყვეს, ამიტომ ჩინეთში ბევრი სკოლებია. არამც თუ დიდ ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც არის რამდენიმე სკოლა. სოფლად თვითეულ 15 კომლს აქვს თავისი საკუთარი სკოლა. ყოველი ჩინელი კანონის ძალით ვალდებულია მისცეს თავისი შვილი სასწავლებელში. ამიტომ ჩინეთში ძალიან ცოტანი მოიპოვებიან, რომ წერა-კითხვა არ იცოდნენ. თვითეული სოფელი და ქალაქი ვალდებულია გახსნას რამდენიმე სკოლა. თვით უბრალო დღიურმა მუშამ იცის კითხვა და კითხულობს გაზეთს. მასწავლებელს ირჩევს მშობელთა წრე და ჯამაგირს აძლევს ის წრე, სადაც მასწავლებელი იმყოფება. უღარიბესი ჩინელის შვილები დაიარებიან საღამოს კურსებზე სადაც მათ ასწავლიან წერა-კითხვას.

ჩინელები ყველაფერში ძველ წესს ებღაუჭებიან და დიდ ცოდვად მიაჩნიათ ძველ მამაპაპეულ წესის შეცვლა და ახალის შემოღება. ბავშვებს უმეტესად იმას ასწავლიან, რომ პატივისცემით მოეპყრან მშობლებსა და წინაპართ, რომელთა აზრი მათთვის წმინდაა. არავითარი მეცნიერება იქ არ არსებობს, გარდა არითმეტიკისა, რომელიც ვაჭრობის თვის მეტად საჭიროა. ჩინური წერა-კითხვა მეტად ძნელია, რადგან ანბანის მაგივრად მხოლოდ აუარებელი ნიშნებია, რომლებიც სიტყვების მაგივრობასა სწევს. ყველა ნიშნების დასწავლას ძალიან ცოტანი ახერხებენ. უმეტესობა სწავლობს მხოლოდ კითხვას რამდენიმე წიგნისას, რომლებიც შეიცავენ ძველ ბრძნების ნათქვამებს. ჩინელები კითხულობენ მარჯვნიდან მარცხნივ. შეგირდები ძალიან მორჩილები, ყურისმგდებლები და მომთმენნი არიან. სკოლაში შეგირდები გაკვეთილს ყველანი ერთბაშად უგებენ. სიჩუმე მათში სიზარმაცის მომასწავებელია, რის გამოც ჩუმ შეგირდებს სჯიან. პირველდაწყებითის სკოლის გათავების შემდეგ ვისაც ჰსურს სახემწიფო სამსახურში შევიდნენ უნდა დაიჭირონ ეგზამენი, რომელიც ხდება სამ წელიწადში ერთხელ სატახტო ქალაქ პეკინში. გამოცდის შემდეგ იმათ აძლევენ რაიმე სამსახურს სახემწიფოში. ნასწავლები და მოხელე მანდარინები იზრდიან დიდ ფრჩხილებს ნიშნათ ნასწავლობისა. თუ ვაჟები სწავლობენ წერა-კითხვას და იღებენ განათლებას და მთელ ჩინეთში მათთვის არის გახსნილი სკოლები სამაგიეროთ ქალების სწავლა აღზრდას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და მათთვის არც ერთი სასწავლებელი არ მოიპოვება. ამ ბოლო დროს ქრისტეს სჯულის მქადაგებლებმა მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება და გახსნეს ქალებისთვის რამდენიმე სასწავლებელი.

III

სარწმუნოება ჩინელებისა. კონფუცი. ბუდდა. ლაო-ტცე. ქრისტიანები. ცრუ მორწმუნოებანი. უქმეები. დამარხვა და ქორწინება.

სარწმუნოება ჩინეთში საერთო არ არის, მაგრამ თითქმის ყველა ჩინელი თაყვანსა სცემს ცას, მიწას და ბუნების ძალებს. ბევრს ბუდდა სწამს, ზოგი კიდევ ძველ ჩინელს კონფუცის ადიდებს.

კონფუცი სცხოვრობდა 549 წ. ქრისტეს დაბადებამდე. მან დაუტოვა ჩინელებს ხუთი წიგნი, რომლებშიაც აწერილია თუ როგორ უნდა იცხოვროს ჩინელმა. კონფუცის სამშობლოდ ითვლება ქალაქი კიუფაო. დღემდის სცხოვრობს კონფუცის შთამომავლობა და აქ კონფუცის სახელზე აშენებულია უძვირფასესი ეკლესია. მიუხედავად იმისა, რომ კონფუცი სცხოვრობდა თითქმის სამი ათასი წლის წინად, ჩინელები ძალიან ბრმად ემორჩილებიან მის კანონებს. უმთავრესი კანონი კონფუცის სწავლისა—პატივის-ცემა წინაპართა და მშობელთა. წინაპარებს ჩინელები ისე თაყვანსა სცემენ, როგორც ჩვენ წმინდანებს. ყველანი თავიანთ მიცვალებულ წინაპრების სულსა სწირავენ მსხვერპლებს. ჩინელების რწმენით, წინაპართა სული ისევ სახლში სცხოვრობენ და შველიან ყოველივე საქმეში. უბრალო გლეხმაც კი იცის მთელი ოჯახის ისტორია და წინაპართა სახელები; მათ შეუძლიანთ ჩამოთვალონ ყველა კეთილი საქმენი წინაპართა. თუ რომელიმე წინაპრის ნამოქმედარში უფრო ბევრი არა კეთილი საქმეებია გაკეთებული, მაშინ ამგვარ წინაპარს ამოშლიან წინაპართა სახელების სიიდან.

ბუდას სარწმუნოების მიმდევრები ძალიან ბევრნი არიან ჩინეთში. იმის მოძღვრება გადმოიტანეს ინდოეთიდან. ბუდდას მოძღვრებით აკრძალულია ლოთობა, პირუტყვის და ფრინველის ხორცის ჭამა და სხვა.

ამათ გარდა ჩინელები თაყვანსა სცემენ და დიდად სწამთ მეორე თავიაანთი ბრძენი **ლაო-ტცე**. ეს ბრძენი ქადაგებ[illegible] სასტიკად უკრძალავდა ომს.

სხვათა [illegible] ქრისტეს რჯულის მქადაგებელნიც. ქრისტიანები მთელ ჩინეთში 2 მილ. მეტი მოიპოვება. ქრისტიანებისთვის არის გახსნილი რამდენიმე სკოლა, როგორც ვაჟებისთვის, ისე ქალებისთვის.

ისე არსად არ არის გავრცელებული **ცრუ მორწმუნოება**, როგორც ჩინეთში. სწამთ სხვა და სხვა მოვლენანი, ბედნიერი და უბედური დღეები, ავი სულები, თვალის ცემა და თითქმის მუდამ დღე აქცევენ ამაებს ყურადღებას. კუდიანი ვარსკვლავები, მთვარისა და მზის დაბნელება ჩინელების რწმენით კეთილ არაფერს არ უქადის. სეტყვა, ჭექა-ქუხილი და ელვა ჩინელების რწმენით ღმერთის რისხვას მოასწავებს. ყოველი ჩინელი ვალდებულად სთვლის თავის თავს გაიკეთოს სახლში პატარა სამლოცველო, ამიტომ ყველა ჩინელის სახლში მოიპოვება ამნაირი სამლოცველო. ჩინელები ყოველივე რაიმე შემთხვევაში მიჰმართავენ ხოლმე თავიანთ კერპებს, რომლების წინ ანთებენ პატარა სურნელოვან ჩხირებს. ამ სამლოცველოში სდგას პატარა ფიცარი, რომელზედაც არის ჩამოწერილი იმათი წინაპრების სახელები. ჩინელების რწმენით ამ სამლოცველოებში სცხოვრობენ წინაპართა სულები. სამლოცველოებში მათ მიაქვთ საჭმლები წინაპართა სულებისთვის და რაიმე შესანიშნავ და გაჭირების დროს მათ შეევედრებიან ხოლმე.

ჩინელებს სწამთ აგრეთვე უქმეები. ყოველ მუშაობის შემდგომ ჩინელს უყვარს შესვენება და გართობა. ზოგი მიდის თეატრში, ზოგი ყურს უგდებს მუსიკას, ზოგნი კი თამაშობენ ქაღალდს ან და კოჭს, უფრო კი უკანასკნელს. ისე ძალიან მოყვარულნი არიან კოჭაობისა, რომ ხშირად მთელ თავიანთ საცხოვრებელს აგებენ ხოლმე. დიდ უქმედ მიაჩნიათ აგრეთვე ახალი წელიწადი, დიდის ამბითაც უქმობენ.

ჩინელებს ღრმად სწამთ, რომ თუ კაცი დაიმარხა ყველა არსებულ წესით, იმისი სული რჩება თავის შვილების ოჯახში. ამიტომაცაა რომ ჩინელები დიდ ყურადღებას აქცევენ მიცვალებულის დამარხვას. მამის დამარხვის დროს რაც შეიძლება შვილმა უნდა გამოხატოს დიდი მწუხარება. უფროსი შვილი სწერს მამის სახელს ფიცარზე და მუდამ დღე უკმევს საკმელს. ამის გარდა მიცვალებულს თან ატანენ ყოველგვარ საჭირო ნივთებს, რომლებიც გამოადგება საიქიოს. მგლოვიარობა გრძელდება სამ წელიწადს. ხშირად შვილები ამ დროს განმავლობაში თავიანთ მიცვალებულს ინახავენ სა-

*) იხ. ,,სახალხო გაზეთი‘‘ № 561.

იდეას, არამედ აჩვენებს. თავდაპირველად ჭეშმარიტ მხატვარს წარმოუდგება სახეები და არა იდეა, რომელსაც ის ხშირად სახეების გარეშე ვერც კი ხედავს და რომელიც, როდესაც თხზულება მზად არის, უფრო ხელმისაწდომი და გასაგებია მოაზროვნესთვის, ვინემ თვით შემოქმედებისთვის ამისთვის მხატვარი საზოგადოდ არ ისახავს წინ და წინ მიზანს, წინ და წინ არ ცდილობს გამოსახოს რომელიმე იდეა: მისდა შეუმჩნევლად და გაუგებრად ფანტაზიაში იხატება სახეები და, გატაცებული მათის სიმშვენიერით, მწერალი ისწრაფვის იდეალურ და შესაძლებლობის სფეროდან გადაიტანოს სინამდვილეში, ე. ი. ხილული და ცხადი მხოლოდ მისთვის, გახადოს ყველასათვის დასანახად.

ასეთია თვისება ნამდვილის შემოქმედებისა. დ. მეგრელის „საბრალონი“ კი, ჩვენის აზრით, უფრო მოთხრობის ფორმაში გახვეული წინასწარ მოფიქრებული ჰუმანიური აზრით და შეხედულობით გამსჭვალული მსჯელობაა, ვინემ ჭეშმარიტი ხელოვნური ქმნილება, რომელიც სახეებით უფრო გვასწავლის, ვინემ სიტყვებით.

ორიოდე სიტყვა სტილის შესახებ. —ავტორს არა აქვს დაცული თავისებურობა გმირების ბაას-გამოთქმისა. გლეხები ისე ლაპარაკობენ, როგორც ბატონი; ბატონი ისე, როგორც ივან პეტროვიჩი; ივან პეტროვიჩი, როგორც კოხთა; ეკა ისე, როგორც მღვდელი... და ყველა ესენი ისე, იმავე კილოთი და ენით, როგორც თვით ავტორი. შეიძლება ეს იმითიც აიხსნებოდეს, რომ გმირები მეგრელებია; ესენი კი შინაურობაში უფრო მომეტებულად მეგრულს ხმარობენ, ვინემ ქართულს; ამისათვის დაცვა მათის ქართულის თავისებურობისა, რასაკვირველია, ძნელია... კიდევ ერთი წვრილმანი, რომელიც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს; ავტ[illegible] ხშირად ხმარობს სიტყვებს: [illegible]აბრალო“, „უბედური“, „საბრალო [illegible]ედ-მამა“, „უბედური მუნჯია“ „სა[illegible]ო მუნჯია“ და სხვა. თვით ა[illegible]რისაგან ოსტატურად დახატულმა [illegible]ათებმა უნდა დაგვანახოს გმირთა [illegible]გომარეობა და არა ხშირად ნახ[illegible] რომელიმე სიტყვამ.—

სმენას ეჩოთირება აგრეთვე „[illegible]“-ს ხშირად ხმარება. „აი, კიდეც [illegible]ახლოვდა ეკა მუნჯიას“,... „ა[illegible] შეეძლო კოხტას თევზის და[illegible] მოთხრობის ზოგიერთ გვერდზე [illegible]ჯერ-ოთხჯერ ნახმარია ეს „აი“.

დ. მეგრელის მეორე მოთხრობ[illegible] **„უბრალო მსხვერპლშიაც“** სიმპატიური და ჰუმანიური აზრ-გრძნობაა ჩაქსოვილი. ავტორს თანამედროული თემა აქვს აღებული: მო[illegible]ად გვითხრობს იმას, თუ როგორ სოფლის ბობოლა, მევახშეობით გამდიდრებული და გაბატონებული აზნაური ზურაბი სჩაგრავს მთელს სოფელს და, სხვათა შორის, აუბედურებს თვის მეზობელს და ნათესავს კოწიას პატიოსანს და მშრომელს ადამიანს. აი მოთხრობის მოკლე შინაარსი. ერთს სოფელში სცხოვრობს ღარიბი, მაგრამ მშრომელი და გამრჯელი, სოფლის აზნაური კოწია მოხუცებული დედით. მის მეზობლად სახლობს მდიდარი და გავლენიანი ზურაბი ჯავახიშვილი. ერთის მხრით ზურაბის ეზოს კოწიას ვენახი ესაზღვრება. ზურაბს გულით უნდა, ადგილების შემოსარგვალებლად, ამ ვენახის ჩაგდებაც. მაგრამ კოწიამ არ მისცა ზურაბს ოფლით მორწყული ადგილი: არც მიყიდა და არც სხვა ადგილში გაუცვალა. ამის გამო ზურაბი გადაემტერა კოწიას და დროს ეძებს როგორმე გადაუხადოს მაგიერი დროც მალე იშოვა. კოწიას ვენახში ხშირად გადადიოდა ზურაბის ხარი; ბევრჯერ შეუთვალა კოწიამ ზურაბს: ვენახს ნუ ახდენინებ ხარსაო, მაგრამ ზურაბი ყურადღებას არ აქცევდა. ერთს დღეს კოწიამ შეისწრო ვენახში ხარი და ნაჯახით დაჰკლა; ღამე რომ ძაღლებს არ შეეჭამათ დაკლული ხარი, დედის რჩევით მარანში შეათრია, თითონ კი კეთილსინდისიერთან წავიდა შესატყობინებლად, მაგრამ ვერ ნახა სახლში... დაბრუნდა თუ არა შინ, დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით დაეძინა. ზურაბს ძლიერ ეამა, როცა ბიჭებმა უთხრეს: კოწიამ ხარი დაჰკლაო. იმან მაშინვე გაგზავნა ერთი ბიჭი, რომ შორიდგან ეთვალიერებინა აბა რას უზამდა კოწია ხარს და, როცა ყველაფერი გაიგო, გახარებულმა ულვაშებზე ხელი გადაისვა და ჩაიცინა: „[illegible]რგია, ახლა—მე ვიცი“, ამბობდა [illegible]ად ზურაბი, მე კაცი არ ვიქნები, [illegible] ნაომბახში არ გამოვალპე ის [illegible]ა, ის“... მართლაც აასრულა [illegible]მა თვისი მუქარა. მისმა მონა[illegible]ლეებმა სოფლის მოხელეებმა [illegible] ოქმი შეადგინეს, ვითომც [illegible] ხარი მოეპაროს, მერე დაეკ[illegible] მარანში დაემალოს... კოწია [illegible] და სატუსაღოში ჩასვეს. კოწი[illegible] დაამტკიცა, რომ ვითომც რადგა[illegible]რი მართლა მოეპაროს, მოწმე[illegible] ზურაბის შიშით ყველა [illegible] აჩვენეს. უბრალოდ დასჯილ[illegible] სულიერ[illegible] კოწია ხორციელად და [illegible] ლეში. [illegible]ანჯებოდა საპყრობი[illegible]შნა, რომ ღამოს კოწიამ შენი[illegible]ხავდნენ ამხანაგები ჰქრს ხერ[illegible]ნენ „შენ[illegible]ცევად ემზადებოდ[illegible] კოწიას ტუსაღი“-ო, უთხრეს სადა მაქვს, [illegible] „—გაქცევის თავი მიუგო კოწიამ მიდგია სული“, დარჩა კოწია [illegible]ალები გაიქცნენ. არ იყოს, ეხარ[illegible] კოწიას, ცოტა ვინც გუშინ მა[illegible] რომ ისინი, თავისუფალნი ა[illegible]ნენ, ეხლა ძლება კი გაექცნ[illegible]—კაცს შე[illegible]რას უპირობენ, [illegible]ამ ღმერთს გაექცევიან?“ ფიქრ[illegible] კი ვერსად [illegible]გრამ, შეიძლება [illegible]წია „—მაჩემსავით უდანაშაულონი არიან... იქნება, მარტო კაცისაგან სჭირდებოდათ იმათ გაქცევა და გაიქცნენ კიდეც... იმათ უშველეს თავს.,. ნეტავი მათ! მე... ღმერთო ჩემო?... მე რა ვქნა? ნუ თუ ციხეში უნდა ჩავლპე?.. არა, არა... უნდა წავიდე, მეც უნდა წავიდე“... მართლაც წავიდა კოწია, მაგრამ დარაჯებმა შეამჩნიეს და ერთმა მათგანმა თოფით მოჰკლა.

ამ მოთხრობაშიაც დ. მეგრელს სურს დაგვიხატოს ჩვენი ცხოვრების ახალი დიდად სიმპატიური ტიპი მშრომელი აზნაურისა. კოწია ღარიბი აზნაურია; მიწას თითონ მუშაობს, ვენახს თითონ უვლის, ყოველ წლობით ყიდის ორ-სამ საპალნე ღვინოს და ამ ფულით სიმინდს ყიდულობს და ტანისამოსს იცვლის (გვ. 59). კოწია, დილაზე რომ ადგება, მხოლოდ იმაზე ფიქრობს რაც შეიძლება მეტი იმუშაოს დღეს. მან იცის, რომ მთელი ოჯახი, საყვარელი დედა, მტერი და მოყვარე, ჭირი და ლხინი მარტო მას აწევს კისერზე და უნდა გაუძლევს პირნათლად უსირცხვილოდ, იმასაც გრძნობს კოწია, რომ დედა თანდათან ბერდება და მალე შრომას სულ ველარ შესძლებს. მართლაც ის მუდამ მუშაობაშია გართული. კოწიას ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს შრომისადმი სიყვარული. როგორც კულტურულ და განათლებულ კაცისათვის წიგნია საჭირო, ისე კოწიასთვის შრომა. შრომა კოწიას კიდევაც წრთვნის და კიდევაც ართობს. სოფელში ყველას აკვირვებს კოწიასთანა ახალგაზდა ბიჭის—და ისიც აზნაურის—ამ გვარი მუდმივი მუშაობა.—„სწორედ, ვიღაცა ყაზახის შვილია ეგ“, იტყოდა ხოლმე ხშირად ზურაბი კოწიაზე, „თორემ ამდენ ჯაფას როგორ იტანს“-ო (გვ. 69). მართლაც, შრომას კოწია ხორციელად და სულიერად გაემშვენიერებინა: ის მამაცის შეხედულობისაა, სახე გადაჟინჟღლებია, ლოყები თურაშაულ ვაშლივით დასწითლებია; მას აქვს ვარდის ფერად მოელვარე ტუჩები, ცოცხალი, ცეცხლის მფრქვევი თვალები (გვ. 70).

ავტორი არ ზოგავს სხვა და სხვა ფერად საღებავებს, რომ ჯეროვანის სიძლიერით დაგვიხატოს სიმპატიური სახე კოწიასი. ჩვენ გვესმის ეს სურვილი ავტორისა და თანაუგრძნობთ მას. ვინ არ იცის ან ვინ არ ხედავს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი თავად-აზნაურობა გადაგვარების გზას ადგია ყოველის მხრით. სხვათა შორის, ეკონომიურის მხრით ის მთლად გაღატაკებულია: მამა-პაპისაგან ნაანდერძევი მამული „ნაჭერ-ნაჭერად“ გაჰყიდა და აღებული ფული რესტორან-სამიკიტნოებში მიხარჯა. გაფრცქვნილ-გაღატაკებული, ის დღესაც არ კადრულობს შრომას, მიწის მუშაობას; ქუჩა-ქუჩა დაეხეტება და უსაქმობისა გამო ვინ იცის რა საძაგლობას არ სჩადის: ზოგი მათგანი, ბუნებისაგან სილამაზით დაჯილდოებულნი, გარყვნილების მორევში სცურავენ, ლონ-ჟუანობენ და რყვნიან უმანკოებს და ბოლოს ალფონსობითაც ათავებენ; ზოგი ქურდობა და ძარცვა-გლეჯისათვის ციმბირში არიან გადაკარგულნი და იქ უმიზნოდ იხოცებიან; ზოგნი კი სოფელს შერჩენიათ, მაგრამ იქაც უსაქმობენ, სამიკიტნოებში მთელ დღეობით ბანქოსა და ნარდს თამაშობენ და გლეხების შვილებსაც რყვნიან თვისი მაგალითით. შრომას ეს ვაჟბატონები უკადრისობენ: თოხს და ბარს აბა როგორ მოჰკიდებენ ხელსა! ქურდ-ბაცაცობა კი უფრო ეხერხებათ. უფრო ბედნიერნი მათგანი პოლიციის მოხელეობას ღებულობენ და თავისებურად, აზნაურულად დათარეშობენ სოფელში. ერთის სიტყვით, სიღარიბე, მუქთა-ჭამიაობა, უმიზნო ხეტიალი და შეუგნებლობა გამეფებულია ჩვენს თავად-აზნაურობის მომეტებულს ნაწილში. ეჭვს გარეშეა, რომ მათი ხსნა და ფეხზე წამოყენება მხოლოდ შრომას და ჯაფას შეუძლია. ეს შრომა მათ გააპატიოსნებს, ენერგიას შეჰმატებს, მუქთახორობას გადააჩვევს, ცხოვრებაში ჩაახედებს, აზრ-გონებას გაუნათლებს და ცხოვრების პარაზიტობიდან იხსნის. მხოლოდ პატიოსანი შრომა გახდის თავად-აზნაურობას ჩვენ საზოგადოებაში მომქმედ და სასარგებლო ელემენტად; მხოლოდ ის ჩააბამს თავად-აზნაურობას ცხოვრების ფერხულში; მხოლოდ შრომით დაიბრუნებს ის დაკარგულს გავლენას ეროვნულ ცხოვრებაში. ერთის სიტყვით, შრომაა ხსნა თავად-აზნაურობისა!

სწორედ სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ უკანასკნელ დროში ზოგიერთებმა, თავად-აზნაურობის წრიდან, შეიგნეს თვისი მდგომარეობა და შრომას მოჰკიდეს ხელი. დღეს, თუმცა იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მაინც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში შეხვდებით კოწიებს, რომლებიც პატიოსანის შრომით და გამრჯელობით ცხოვრობენ და ოჯახსაც ინახავენ: გლეხკაცებთან ერთად თოხს მოჰკიდეს ხელი. ზოგნი მათგანი გასულან ქალაქში და იქ ლაქიობით, მეეტლეობით, დარაჯობით და სხვა ამისთანა პატიოსან შრომით ცხოვრობენ და თითოოროლა კაპეიკს ღარიბ დედ-მამასაც მიაწვდიან ხოლმე. რამდენად უფრო სიმპატიური და პატივსაცემია მშრომელი მეეტლე-აზნაური ჩოხაში გამოწკეპილ, ულვაშებ-დაგრეხილ და უმიზნოდ მოხეტიალე „მებანქოე“ თავად-აზნაურის შვილზე, რომელსაც სუყველაფერი დავიწყნია, გარდა ქეიფისა და არშიყობისა, და რომელიც პატიოსან ოჯახში არც კია შესაშვები?! იმედია, რომ [illegible]ტარიელ მკლავაძეები ჩვენში თანდათან გარდაშენდებიან და ადგილს დაუთმობენ პატიოსან მუშაკ-კოწიებს.

(შემდეგი იქნება)

ივ. ვართაგავა.

[illegible]თ სხდებიან სკამზე მი[illegible]ულის ახლოს, ღამით კი წვანან კუბოს წინ. ამასთან არ სჭამენ ხორცს, არც სვამენ ღვინოს და არ გამოდიან საზოგადოებაში. ერთ საუკეთესო საჩუქრად შვილისაგან მამისთვის ითვლება კუბო. ამიტომ ხშირად სიცოცხლის დროს შვილი ყიდულობს მამისთვის კუბოს. ჩინელები აქებენ და ადიდებენ იმისთანა შვილებს, რომლებსაც თავიანთი თავი მონობაში და სიდუხჭირეში ჩაუყენებიათ, რომ მამისთვის ეყიდნათ საუკეთესო კუბო. კანონის ძალით ჩინელი უნდა დაიმარხოს თავის სამშობლოში. რადგანაც მიცვალებულის წასვენება თავის სამშობლოში ძალიან ბევრ ხარჯებს მოითხოვს, ამიტომ ჩინელები ინახავენ მიცვალებულთ და როდესაც შესდგება საკმარისი რიცხვი მიცვალებულებისა, მაშინ გემებით გადმოიტანენ თავიანთ სამშობლოში.

აი როგორ მარხავენ ჩინელები მიცვალებულს. ერთ ამაღლებულ ალაგას სდგას კუბო. ნაცნობნი და ნათესავნი მიდიან მიცვალებულის სანახავად. შინაურ სამლოცველოს საკურთხევლის წინ ჩამოკიდებულია მიცვალებულის სურათი. ოთახები მორთულია ბაირაღებით და ყვავილებით. ბუდდის მღვდლები შემოუდგებიან ოთხ-ოთხი თითო მხრით და მოწყენილად გალობენ. ამის შემდგომ იწყება დედაკაცების ტირილი. შემოდიან მუშები კუბოს წასაღებად. წინ მიდის დიდი ამფიონი (ეტლი), მერე მიაქვთ ფარანი, რომელზედაც სწერია მიცვალებულის სახელი. შემდეგ მემუსიკენი, ბავშვები ბაირაღებით; ამათ უკან მიაქვთ მიცვალებულის ტანისამოსი, მერე მღვდლები წყვილ-წყვილად დაწყობილნი; შემდეგ სტოლი, რომელზედაც აწყვია შემწვარი ღორები, ბატები და იხვები; მათ უკან დიდი ქოლგა. შემდეგ ოცდა ათამდისინ ცხენოსანი კაცი თეთრი ტანისამოსით და მერე კი კუბო, რომელზედაც გადაფარებულია ძვირფასი ქსოვილი. კუბოს უკან მიაქვთ დიდი სკამი, რომელშიაც მოთავსებულია მიცვალებულის სურათი. ქუჩებზე ჰყრიან ვერცხლის წყალში დაფერილ ქაღალდებს, რათა შეუშალონ ავს სულს ხელი, რომ არ დაიჭიროს მიცვალებულის სული. ჩინელებს სწამთ, რომ ავი სული ამ ვერცხლის ფერად დაფერილ ქაღალდებს მიიღებს ვერცხლის ფულად, დასწვდება ასაღებად და ამ დროს მიცვალებულის სული თავის ალაგას მოთავსდებაო. შვილი მოვალეა ყოველ წლივ მოიგონოს მამის საფლავი. მგლოვიარობის ნიშნად იცვამენ თეთრ ტანისამოსს. ამ რიგად მიცვალებულის დამარხვა მოითხოვს დიდ ხარჯს. დამარხვა მთელი ოჯახის დაქცევაა. დამარხვის შემდგომ ოჯახი ძლივს გამოსწორდება ხოლმე.

ქორწინება, როგორც დამარხვა, დიდის ამბით იციან და დიდს ხარჯსაც მოითხოვს. კაცი რომ მოკვდეს უცოლოდ ჩინელებს ეს დიდ ცოდვად მიაჩნიათ, ამიტომ რომ სიკვდილის შემდგომ ვერავინ მოიგონებს მიცვალებულს. როდესაც ჩინელი შესრულდება ოცის წლისა დედ-მამა მას ცოლსა რთავს. ქორწილამდე არც ვაჟი და არც ქალი არ იცნობენ ერთმანეთს. საცოლეს შვილისთვის დედ-მამა ირჩევს. ამორჩევის შემდეგ იწყება მოლაპარაკება. მერე მიდიან მკითხავებთან, რომ გაიგონ რომელი დღე უფრო კარგი იქნება ქორწილისთვის. მერე ქალი და ვაჟი ერთმანეთს საჩუქრებს უგზავნიან და მასთან ატყობინებენ ნაცნობთ და ნათესავებს ქორწილის დღეს. საღამოთი აცმევენ პატარძალს ძვირფასს ტანისამოსს და მიჰყავთ ქმართან ტახტრევანით, რომელიც მხრებზე უდგათ მუშებს. წინ მიაქვთ ფარანი, შემდეგ ბაირაღები, მემუსიკენი და მერე კი მიჰყავთ პატარძალი. ქმარი უცდის საცოლეს საუკეთესოდ მოწყობილ ოთახში. შესვლისათანავე პატარძალი ფეხებში უვარდება ქმარს. ამ დროს ქმარი ჰხდის პირბადეს და პირველად ჰხედავს თავის საცოლეს. მერე მიდიან კარის სამლოცველოში, რათა თაყვანი სცენ წინაპართა სულებს. იმართება ქეიფი, რომლის დროსაც კაცები ცალკე სხდებიან, ქალები ცალკე. შემდგომ ცხოვრება იღებს ჩვეულებრივ ხასიათს.

ჩინეთში **ქალი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია** ჩაყენებული. აქ ქალს ადამიანად არ სთვლიან. ცოლს არა აქვს ნება, რომ თავის ქმართან დაჯდეს და ერთად ისადილონ. სადილის დროს ემსახურება ქმარს და შვილებს, როგორც მსახური: უსხავს ბრინჯის არაყს ჭიქაზე და ამ დროს ცოლს არა აქვს უფლება დაელაპარაკოს ქმარს. როდესაც ქმარი და შვილები მორჩებიან ჭამას, ცოლი მიჯდება კუთხეში და სჭამს ნარჩომებს. თუ უბრალო გლეხის ქალები გამუდმებით შრომობენ კაცებთან ერთად, სამაგიეროდ მდიდარი ჩინელის ქალები სახლში სხედან უსაქმოდ, ან კი რა უნდა გააკეთონ, როდესაც განძრევა ვერ მოუხერხებიათ ისე აქვთ დამახინჯებული ფეხები. საქმე იმაშია, რომ ჩინელებს მოსწონთ იმისთანა ქალები, რომელთაც ფეხები ძალიან პატარა აქვთ. ამ მაგალითს ამ ბოლო დროს მიჰბაძეს უბრალო გლეხის შვილებმაც და რაც შეიძლება იპატარავებენ ფეხებს. ექვსი წლის ქალს ისინი უკრავენ ფეხებს და ნებას არ აძლევენ, რომ ფეხები გაეზარდოს. ამ გვარ ფეხების პატრონთ არ შეუძლიანთ გაიარონ, აიღონ რამე მძიმე საგანი და სულ მთვრალებივით დაიარებიან.

(დასასრული იქნება)

დ. ბურჭულაძე.

გაფიცვები.

დეპეშები

სოსნოვი. ინგლისელთა გაფიცვის გამო დობროვსკის მაღაროებს ავსტრიის რკინის გზებისა და ბალტიის ზღვის ნავთსადგურებიდან ბევრი სამუშაო მოსდის.

ესრლინი. თერძები ერთ თვეს იყვნენ გაფიცულნი. გაფიცვას 4 მილიონი კრონის ზარალი მოუტანია, ეხლა მუშაობა უკვე დაიწყეს.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

კულჯა. მონგოლები რესპუბლიკელებს ჩამოჰშორდნენ და თექესში მოგროვდნენ. ჩინელებისაგან გაგზავნილ მზვერავებში რვა-ღა გადარჩენილა, დანარჩენნი დაუხოციათ. მთავრობა სცდილობს მონგოლები მშვიდობიანის გზით გადმოიბიროს. თუ ვერაფერს გახდა, სამხედრო ძალას მიჰმართავს. რუსებს მონგოლები ჰპირდებიან, ვაჭრობის სრულ თავისუფლებას მოგანიჭებთო.

პეკინი. კაბინეთის წევრები ერთ თვეს პეკინის მახლობლად ნანიანში დარჩებიან, ვიდრე პეკინს ჩამოვიდოდნენ. მათ ამალად სამხრეთის ჯარი ეყოლებათ. ამბობენ, პრეზიდენტი მოითხოვს, ამალა ათასს კაცს არ აღემატებოდესო, სამხრეთელები მეტის გამოგზავნას აპირებენო. ესაა მიზეზი კაბინეთის წევრთა ჩამოსვლის დაგვიანებისა.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

პეტერბურგი. რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს საზღვაო ნაწილს გაუგია იტალიის ფლოტის მიერ მეწამულ ზღვაზე მოქმედების დაწყების განზრახვა. იტალია გარემოცვას აპირებს. ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებს ხუთი დღის ვადა მისცეს. სალოცავად მიმავალ მგზავრების გემებს შეუძლიანთ იტალიის გემთა მზვერავობით კუნძულის სამხრეთ კიდეებს მიუახლოვდნენ.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

ქოი. ქურთთა ბელადმა ბილბაში-ბაიზ-აღამ, რომელსაც სამის წლის წინად ოსმალებმა ფაშობა და ორდენი უბოძეს, ხელი შეუშალა ხალხის აღწერას. ოსმალეთმა სულდუზიდან მის წინაალმ[illegible] დამსჯელი რაზმი გაგზავნა ორი ზარბაზნითურთ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

30 მარტი.

სერბია და ოსმალეთი.

ბელგრადი. ოსმალეთის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს მაკედონიაში სერბიელ ყაჩაღთა გამო საპროტესტო ნოტა გადასცა. ამბობენ, მთავრობა უპასუხებს, ჩემთან საერთო არა აქვთ-რა სერბიის გარეშე ორგანიზაციებს და ვერც ოსმალეთში მცხოვრებ თანამოძმეების მაგივრად ვაგებთ პასუხს, რადგანაც ისინიც ცუდ მდგომარეობაში არიანო.

ოსმალეთის ვითარება.

სტამბოლი. ამომრჩეველთა არჩევნები დაიწყო. ქალაქის ორ უბანში ბერძნებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ და უკანონობას სჩივიან.

ხორვატიის საქმე.

პრაგა. სრულიად სლავიანთა ჟურნალისტების კავშირმა ხორვატიის პრესას თანაგრძნობა გამოუცხადა იმ დევნის გამო, რომელსაც ცენზურა ეწევა ხორვატელთა პრესის წინააღმდეგ.

ზაგრები. ავსტრიის მოყვარულ ტრიალიზმის მომხრე „ნეიეს-ვინერ-ტაგებლატის“ თანამშრომელი ავსტრიელი ბერგოტეინი ხორვატიიდან გააძევეს სამი წლის ვადით. ამბობენ, არა ხორვატელ ოპოზიციონერ ჟურნალისტებს ყველას გააძევებენო.

ბელგრადი. ბელგრადის სტუდენტებს გადაუწყვეტიათ ხალხს ჰუნგრეთის საქონლის ბოიკოტი ურჩიოს იმ შევიწროების გამო, რასაც იგი ხორვატელებს აყენებს. აქაურმა ვაჭრებმა თავს იდვეს ბოიკოტის გამოცხადება და ხელმძღვანელობა.

ესპანიის პასუხი.

მადრიდი. გარეშე საქმეთა მინისტრმა საფრანგეთის ელჩს ესპანიის საპასუხო ნოტა გადასცა.

ახალი კაბინეთი.

ბუქარესტი. შეადგინეს ახალი კაბინეთი: მინისტრ-პრეზიდენტად და გარეშე საქმეთა მინისტრად-მაიორესკუ დანიშნეს, სამხედროდ-გენერალი არგენტოიანი, ფინანსებისა-როზეტი, შინაგან საქმეთა და განათლებისა-არიონი, საზოგადო სამუშაოებისა-პანგრატი, დანარჩენნი ძველები არიან. კაბინეთი დროებითია.

პეკინიდან პარიზს გადაფრენა.

პარიზი. გაზეთმა „მატენმა“, რომელმაც პეკინიდან პარიზს გადაფრენა უნდა მოაწყოს, ჯილდოდ 155 ათასი ფრანკი გადასდო. გაფრენას აგვისტოში მოაწყობენ. დაახლოვებით მარშრუტი ასეთია: პეკინ-ხარბინი, ირკუტსკი—მოსკოვი,—ვარშავა-ვენა—ტრიესტი — ვენეცია —მარსელი და პარიზი.

ჰომრული.

ლონდონი. ასკვიტმა პალატაში ჰომრულის ბილლი შეიტანა. მან განაცხადა, ჰომრული საიმპერიო პარლამენტს გაანთავისუფლებს ადგილობრივ საკითხთა გადაწყვეტის ბარგისაგანო. ირლანდიის პარლამენტი შესდგება სენატისა და ქვედა პალატისაგან. სენატში 40 წევრი იქნება. სენატის წევრებს ჯერ-ჯერობით საიმპერიო მთავრობა დანიშნავს, შემდეგ ეს საქმე ირლანდიის მთავრობის ხელში გადავა. ქვედა პალატაში 164 დეპუტატი იქნება. ლორდ-ლეიტენანტი იქნება წარმომადგენელი აღმასრულებელ ძალისა და საიმპერიო მთავრობის სახელით უფლება ექნება რომლისამე კანონის განხორციელება შეაჩეროს. თუ პალატათა შორის უთანხმოება ჩამოვარდა ორთავე პალატამ საერთო სხდომა უნდა გამართოს და კენჭი უყარონ საკითხს.

რუსეთი და ოსმალეთი.

პეტერბურგი. ცნობათა მომცემი ბიურო იუწყება: გაზეთ „ვეჩერნეე ვრემიის“ 29 მარტის ნომერში დაბეჭდილი იყო ბერლინიდან გამოგზავნილი დეპეშა. იქ მოხსენებული იყო გაზ. „ცაიტის“ მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოსალოდნელი ყოფილიყვეს უთანხმოება, ვითომც რუსეთი გაფაციცებით ემზადებოდეს ომისათვის და იტალიასაც შესთანხმებოდეს. ეს ამბავი მტკნარი სიცრუეა და საფუძვლად არა აქვს-რაო.

ქოი. ჯაბირ-ფაშა ჯერ რუსეთის ვიცე-კონსულს ეწვია, შემდეგ რუსის რაზმის უფროსს გენერალ ვოროპანოვს. ჯაბირ-ფაშამ განაცხადა, რუსის ჯარის უფროსის გაცნობა და დამეგობრება მსურს, მინდა გამოვარკვიო იმ უთანხმოების მიზეზი, რამაც რუსეთის ოსმალეთისადმი უნდობლობა გამოიწვიაო. ოსმალეთს საიდუმლო განზრახვა არა ჰქონია და თავის მოქმედებით დაამტკიცა კიდეც ესაო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ქართულ დრამატიულ საზოგადოებას განუზრახავს კვირას, 1 აპრილს, დასდგას წარმოდგენა განსვენებულ დრამატურგის გ. სუნდუკიანცის ხსოვნის პატივსაცემლად. წარმოდგენილ იქნება ცნობილი პიესა სუნდუკიანცისა „პეპო“, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ქართველ მსახიობთა საუკეთესო ძალნი; ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრელიძე, დ. აწყურელი და სხვ. ამ წარმოდგენის წმინდა შემოსავალი გადაიდება განსვენებულ დრამატურგის სურვილისამებრ „პეპოს“ ძეგლის ასაგებად.

ქართული თეატრი. არ ვიცი, რა ვუწოდო, იმ „წარმოდგენას,“ რომლითაც ხუთშაბათს ქართველი მსახიობნი გაგვიმასპინძლდნენ. ჯერ პიესაც, დიდს არაფერს წარმოადგენს და ქართველმა მსახიობებმა ხომ ნამდვილად აწამეს „ქეთევან წამებული!“

რომელი ერთი დავასახელო. არც ერთს არ უღალატნია მოვალეობისათვის, არც ერთს არ გამოუჩენია ყურადღება როლისადმი, ყველანი შეთქმულიყვნენ და ხელიხელ ჩაკიდებულნი „აწამებდნენ“ ქეთევანს.

ბ-ნი ვ. აბაშიძე შაჰ-აბაზის როლს თამაშობდა. თვით პატივსაცემი მსახიობი ვერა გრძნობდა თავს თავის ქერქში და ისე იჯდა შაჰ-აბაზის ტახტზე, თითქოს ყველას ემდურება, რა ჩემი საქმეა ეს როლიო.

რასაკვირველია არც როლი სცოდნია ვისმე. ერთმანეთს სიტყვებს სტაცებდნენ და ნამდვილად ვერც კი გაგვაგებინეს, ალექსანდრემ მოჰკლა კონსტანტინე, თუ კონსტანტინემ ალექსანდრე. ქეთევან დედოფალი მრეცხავ დედაკაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქართველთა მბრძანებელს. ერთის სიტყვით, ყველანი უაზროდ დადიოდნენ სცენაზე, არ იცოდნენ დამსხდარიყვნენ თუ წასულიყვნენ; შეუბრალებლად გრგვინავდა სუფლიორის ხმა: დასხედით, წადით და სხვა. ვერავის გამოეცნო, სუფლიორი თამაშობდა, თუ მსახიობები.

წარმოდგენა იაფფასიანი იყო და უმეტესად იმ მწრის ხალხი დაესწრო ვისაც წელიწადში ერთხელ თუ მოუხდება ქართულ თეატრში შესვლა. რა შთაბეჭდილება უნდა გამოეტანათ მათ ამ საღამოს, რას უნდა მიეზიდნა მათი გულისყური! ადგილების გაიაფება—ხელოვნების გაიაფებას არა ნიშნავს.

სცენაზე ბრძოლა მარჯვნივ გაჩაღებულა, დედოფალიც შიგ ჩარეულა და გორჯასპი კი მარცხნივ გარბის „დედოფლისა და დროშის გადასარჩენად? სცენაზე ისეთი ჭექა-ქუხილი და კორიანტელიააყენეს, რომ დაგვბნიდეს, გამოგვაყრუეს თოფის სროლით.

რაჭველი.

სახაზინო თეატრი. სოფოკლეს ტრაგედიის „მეფე ედიპი“-ს წარმოდგენები უკვე დაიწყო სახაზინო თეატრში. რეჟისორად საგანგებოდ მიწვეულია ჩვენი თანამემამულე, მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორი ბ-ნი კ. მარჯანიშვილი. წარმოდგენამ დიდ-ძალი საზოგადოება მიიზიდა და კმაყოფილიც დარჩა. წარმოდგენის შემდეგ რეჟისორი მარჯანიშვილი საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიწვია. დაწვრილებით ხვალ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., ხღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სღ. 5 ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 [illegible] 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გ[illegible]ში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რ[illegible]ში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3[illegible]

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. [illegible] წ., ბალაჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. [illegible]

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. [illegible] წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6Б, I—III კლ, დღ. 3 ს. [illegible] წ. ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღ. სღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათუმიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 წ. 2) საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, I და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიანია (საკუთარ. საწოლებით).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს. ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. [illegible]61).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** ([illegible]ეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესრიგების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვ ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებით არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოაღსახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გადასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სღვას ვერაზე, ოლგის ქუჩ. 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შუერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თაიროსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 681).

6—7 **შ. ა. მქელაძე** ავლაბარში, კახეთის [illegible]1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. [illegible]ტისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ა. შჩებინინისა** (დიდუბეში საგურამის ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათუმიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გავლით. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს, [illegible] და პირ—სოხუმით, გაგრათი, [illegible], ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით, ფეოდოსიით, ალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ოთხშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევს 2 საათს.

სახალხ-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაივლიან ოთხშაბათობით და პარასკევით შუაღამეს.

განცხადებანი

სასუნთქავის [illegible] ახალი წამალი
„SALO—პიჩილინი“
სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფშითაა. ფასი 1 მ. და 8[illegible] კაპ.
მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Г. Коннейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნ ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის ყოველ აფთიაქში და სააფთიაქო მაღაზიებში. Метиль 23672.
(წ. 1161.3)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.
ა. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.47)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„გიორგის შრომა“
სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სადობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.
დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—17

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანჯარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შეკვეთებიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.
(25—285—18)

ყოველ-დღე
მოგვდის:
ალ-ახალი ქვირითი [illegible] მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—27)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი საყმაწვილო ნათარგმნი წიგნები:

ბუს თავგადასავალი, დასურათ.	20 კ.
გულივერის მოგზაურობა.	„ . 30 „
დედა, ანდერსენისა,	„ . 8 „
დონ-კიხოტი, დ. ყ-ნისა,	„ . 25 „
ემმა ჰავაელი პატარა ქალი.	„ . 15 „
ზანგის სამკვიდრო	„ . 10 „
ზანგი და თეთრი	„ . 15 „
ზღაპრები ანდერსენისა წ. II	„ . 10 „
კეთილი ძაღლი	„ . 20 „
ლედი-ჯენ	„ . 35 „
მოწაფის დღიური	„ . 80 „
მათიკო და მისი გიშერა	„ . 5 „
მეფე ლამზა	„ . 15 „
მამის ერთგული	„ . 5 „
მტრედი-შმიდტისა,	„ . 10 „
მეუფება წყვდიადისა, ტოლსტ.	„ . 40 „
ნელო და პატრაში	„ . 10 „
პაწია და ბუნქლია.	„ . 30 „
რობინზონ კრუზე.	„ . 30 „
სვიის გვირგვინი	„ . 15 „
ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი.	. 60 „
ტომის თავგადასავალი.	„ . 50 „
უსახლ-კარო, ნათ. ხუსკ.	„ . 50 „
ყვავილთა შორის.	„ . 45 „
ხუთი ამბავი.	„ . 15 „
ხუმარა სპილოები.	„ . 20 „
ჯაინეტა.	„ . 30 „

ახლად მიღებული წიგნები

ბრძოლა საქ. მოსასპობად და საქ. შესაერთებლად ანუ გ. საკაძე და მისი დრო . . .	1—
ლექსები და სცენები. ახნაზაროვისა.	60 კ.
ღვთის წყალობა. საყმ. მოთხრობა გ. წერეთლისა.	20 „
პატრი მიხეილ თამარაშვილი. ზ. ჭიჭ.	10 „
ამხანაგი დრამა 4 მოქ. . .	25 „
სრული თხუზ. ე. გაბაშვილისა	1—20 „

ბე უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—16)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.